USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №47
აგვისტო, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №47 ბიულეტენს. მასში აღწერილია აგვისტოში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. ცესკომ შუალედური/რიგგარეშე არჩევნების თარიღი დაასახელა

2 აგვისტოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) საქართველოს პარლამენტის შუალედური და გურჯაანის მერის რიგგარეშე არჩევნების თარიღად პირველი ოქტომბერი დაასახელა.[1] ცესკოს პრესსპიკერის თქმით, 1-ლი ოქტომბრის არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება, რადგან ის 2024 წლის საერთო არჩევნებამდე კიდევ ერთხელ მოგვცემს შესაძლებლობას, გამოვცადოთ საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება.[2]

1-ელ ოქტომბერს ამომრჩეველი საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარ დეპუტატს და გურჯაანის მერს აირჩევს.[3] პირველ შემთხვევაში, არჩევნების დანიშვნის მიზეზი პარტია „საქართველოს" წევრ გიორგი ხოჯევანიშვილის მიერ პარლამენტის საკუთარი სურვილით დატოვება გახდა 2023 წლის თებერვალში,[4] ხოლო მეორე შემთხვევაში, თანამდებობა მიმდინარე წლის ივნისში ასევე საკუთარი სურვილით დატოვა გურჯაანის მერმა ზურაბ უტიაშვილმა.[5]

2 აგვისტოს დაიწყო წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი და ამოქმედდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი აკრძალვებიც.[6]

14 აგვისტოს ბრიფინგზე მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გორისა და კასპის მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების" კანდიდატად გიორგი სოსიაშვილი, ხოლო გურჯაანის მერის პოზიციაზე გიორგი მაჭავარიანი წარადგინა.[7]

აგვისტოში ოპოზიციას კანდიდატები არ წარმოუდგენია.

ირაკლი კობახიძის თქმით, თუ ოპოზიციური პარტიები ამ შემთხვევაშიც უარს იტყვიან არჩევნებში მონაწილეობაზე, ამით კიდევ ერთხელ აღიარებენ საკუთარ სისუსტეს.[8]

---

[1] „პირველ ოქტომბერს შუალედური/რიგგარეშე არჩევნები გაიმართება", საქართველოს ცენტრალური სარჩევნო კომისიის (ცესკო) ვებგვერდი, 2023 წლის 2 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/twlErAzR, განახლებულია: 20.09.2023.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „პარტია „საქართველოსთვის" დეპუტატი პარლამენტს და პარტიას ტოვებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/524284, განახლებულია: 20.09.2023.

[5] „გურჯაანის მერმა თანამდებობა დატოვა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32452119.html, განახლებულია: 20.09.2023.

[6] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[7] „ქართულმა ოცნებამ" შუალედურ არჩევნებში კანდიდატები დაასახელა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 14 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32547029.html, განახლებულია: 20.09.2023.

[8] „ირაკლი კობახიძე - ოპოზიციური პარტიები შუალედურ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს თუ იტყვიან, კიდევ ერთხელ აღიარებენ საკუთარ სისუსტეს, რის შესახებაც საზოგადოება ისედაც ინფორმირებულია", საქართველოს

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ყოფილი და საპარლამენტო ჯგუფ „ევროოპტიმისტების” მოქმედი წევრის რომან გოცირიძის შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც დიდ არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი, ხოლო ოპოზიციას არ აქვს საკმარისი ძალა და ფინანსური რესურსი, არჩევნებში მონაწილეობისგან თავის შეკავება გამართლებულია. თუმცა, დეპუტატის აზრით: „პარტიები თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებას, შეიძლება ზოგმა მიიღოს მონაწილეობა, ზოგმა – არა”.[9]

2. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა

10 აგვისტოს პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით სახალხო დამცველის მიერ მოწვეულმა სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფმა, კლინიკა „ვივამედის” მიერ გაგზავნილი დოკუმენტების საფუძველზე, ჯანმრთელობის მართვის შეფასება წარმოადგინა.[10] ჯგუფის მოსაზრებით, საერთო ჯამში, შენარჩუნებულია „ნელი დინამიკა გაუარესებისკენ, რაც, სამწუხაროდ, სავსებით ლოგიკურია ჯგუფის მიერ გაკეთებული წინამდებარე დასკვნების კონტექსტში“.[11]

სახალხო დამცველის განცხადების მიხედვით, კლინიკაში პაციენტის მართვასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის ექიმთა ჯგუფს განსაკუთრებული შენიშვნები არ აქვს. ჯგუფის შეფასებით: „გრძელდება სიმპტომური მკურნალობა, რაც მათი მხრიდან პრაგმატულ მიდგომას წარმოადგენს”.[12]

3. სოფო ჯაფარიძე მიხეილ სააკაშვილის სახელით კამპანიას იწყებს

21 აგვისტოს მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრმა სოფო ჯაფარიძემ ახალი კამპანია დაიწყო, რომლის ფარგლებშიც მან ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელით რეგიონებში ჩასვლა და ხალხთან შეხვედრები დააანონსა.[13] ჯაფარიძის თქმით, ის მოსახლეობასთან პრობლემურ საკითხებზე საუბარს და მათი წერილობითი მოსაზრებების მიხეილ სააკაშვილისთვის მიწოდებას გეგმავს.[14] როგორც სოფო ჯაფარიძემ ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად აღნიშნა, შეიძლება ამ პროცესს წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებაც ვუწოდოთ და მასში ჩართული იქნება მიხეილ სააკაშვილი.[15]

„ქართული ოცნების” დეპუტატ მიხეილ სარჯველაძის შეფასებით, სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულობა მართლზომიერი არ არის და მას მოუწევს, ანგარიში გაუწიოს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას.[16] სარჯველაძის თქმით: „საქართველოში პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება

საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 14 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/CwlEx87a, განახლებულია: 20.09.2023.

[9] „რომან გოცირიძე - ბევრი მიზეზის გამო, ახლა შუალედურ არჩევნებზე რესურსების დახარჯვის დრო არ არის, თუმცა პარტიები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 14 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/qwlEmd8l, განახლებულია: 20.09.2023.

[10] „ომბუდსმენის კონსილიუმი მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობაზე მორიგ დასკვნას აქვეყნებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 10 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/555425, განახლებულია: 20.09.2023.

[11] იქვე.

[12] იქვე.

[13] „მიხეილ სააკაშვილი მზად არის, მოგისმინოთ ყველას“, ტელეკომპანია „პირველის“ YouTube-გვერდი, 2023 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=bbd3KOp9WpQ, განახლებულია: 20.09.2023.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] „მიხეილ სარჯველაძე - მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში საარჩევნო კამპანიას, წესით, ვერ უნდა ახორციელებდეს, მას ადგილი, უბრალოდ, აღარ დარჩა, ეს შეიძლება, მისი სურვილი იყოს და მცდელობები ვიხილოთ“,

უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს. სააკაშვილის პირადი გადაწყვეტილება იყო, რომ მან დატოვა საქართველოს მოქალაქეობა და წავიდა სხვა სახელმწიფოში".[17]

ქართული კანონმდებლობით არჩევნებში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობის აკრძალვაზე გაამახვილა ყურადღება საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმაც. მისი თქმით: „შესაძლოა, (სააკაშვილმა) განცხადება გააკეთოს, თუმცა (ის) ვერავითარ კამპანიაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, რადგან ეს აკრძალული და დასჯადია".[18]

4. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ევროკავშირის გაფართოების აუცილებლობაზე ისაუბრა

28 და 29 აგვისტოს სლოვენიაში ბლედის სტრატეგიული ფორუმი გაიმართა.[19] ფორუმზე გამოსვლისას ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ევროკავშირის გაფართოების აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2030 წლისთვის ევროკავშირი და ასპირანტი ქვეყნები მზად უნდა იყვნენ გაფართოებისთვის.[20] მისივე თქმით, ევროკავშირს გაძლიერებისა და დაცულობისთვის გაფართოება სჭირდება.[21] როგორც შარლ მიშელმა აღნიშნა, „გასული წლის ივნისში უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ და იგივე სტატუსი ელის საქართველოს, როდესაც „ისინი" დაასრულებენ აუცილებელ ნაბიჯებს".[22] მიშელის შეფასებით, გაფართოების პროცესი იქნება რთული და ზოგჯერ მტკივნეულიც როგორც მომავალი წევრი სახელმწიფოების, ისე ევროკავშირისთვის.[23]

შარლ მიშელის თქმით, შესაძლებლობების ფანჯარა ღიაა და ევროპას მოქმედება მართებს.[24] მან დააანონსა, რომ ევროპელი ლიდერების მხრიდან გაფართოების საკითხი ევროპული საბჭოს მომდევნო შეხვედრაზე განიხილება, სადაც ასევე დაფიქსირდება პოზიციები უკრაინასა და მოლდოვასთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.[25] ჰერცეგოვინასა და საქართველოს საკითხები ასევე დაბრუნდება დღის წესრიგში.[26]

პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის შეფასებით, შარლ მიშელის განცხადებას ევროკავშირის გაფართოების თაობაზე დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა. მისი აზრით, თუ საუბარი ბალკანეთის ქვეყნებზეა, რომლებმაც კანდიდატის სტატუსი 12, 18 წლის წინ მიიღეს, „ეს დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა". კობახიძის თქმით, კანდიდატის სტატუსის მისაღებად ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, ხოლო „2030 წლისთვის თუ ვინმე იქნება მზად ევროკავშირის წევრობისთვის, ეს იქნება სწორედ საქართველო".[27]

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dDN12, განახლებულია: 20.09.2023.

[17] იქვე.

[18] „გურამ მაჭარაშვილი - პარტიის თავმჯდომარე ხაბეიშვილია და სააკაშვილმა ახლა სხვა დანიშნა წარმომადგენლად, ეტყობა, ხაბეიშვილს აეჭვიანებს", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ctCQS, განახლებულია: 20.09.2023.

[19] „მიშელი: მზად უნდა ვიყოთ, ორივე მხრიდან, 2030 წლის გაფართოებისთვის", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32568088.html, განახლებულია: 20.09.2023.

[20] იქვე.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] „მიშელი: 2030 წელს გაფართოებისთვის მზად უნდა ვიყოთ", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/556931, განახლებულია: 20.09.2023.

[27] „ქართული ოცნების" რეაქციები მიშელის მიერ გამოცხადებულ ევროკავშირის გაფართოების გეგმაზე", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/557046, განახლებულია: 20.09.2023.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის შეფასებით, შარლ მიშელის განცხადება იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საქართველოს მოსახლეობა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მიიღებს, „მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი და რუსული პარტია არის მოსაშორებელი".[28]

„სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერმა გიორგი ვაშაძემ პრეზიდენტ მიშელის განცხადებას უპრეცედენტო უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია, მოიპოვოს სრულუფლებიანი წევრობა, თუმცა ამისთვის კონკრეტული ამოცანები უნდა შეასრულოს - შეცვალოს ხელისუფლება და განახორციელოს ყველა აუცილებელი რეფორმა.[29]

5. მთავრობის უარი პრეზიდენტის ვიზიტებზე

30 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ინფორმაცია გაავრცელა სალომე ზურაბიშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით.[30] პრესრელიზში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან ვიზიტით საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ევროპელ ლიდერებთან შეხვედრებს იწყებდა. ამ შეხვედრების მიზანი საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მხარდაჭერა იყო.[31] პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმავე დღეს მთავრობის ადმინისტრაციის განცხადება მოჰყვა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობას ამ ვიზიტთან დაკავშირებით 12 ივლისს მიმართა, რაზეც, მთავრობის განკარგულებით, 3 აგვისტოს, ოფიციალურად, წერილობითი უარი მიიღო.[32] მთავრობის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, პრეზიდენტს ასევე უარი ეთქვა 22 აგვისტოდან 20 დეკემბრის ჩათვლით დაგეგმილ სხვა ვიზიტებზე.[33] მთავრობის განცხადებაში განმარტებული იყო, რომ: „საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, ვინაიდან კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებაა".[34]

მთავრობის უარის მიუხედავად, 31 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს შეხვდა.[35] პრეზიდენტი ვიზიტს სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის გერმანიის მხარდაჭერა გადამწყვეტი იქნება.[36]

---

[28] „ოპოზიცია შარლ მიშელის მიერ გამოცხადებულ ევროკავშირის გაფართოების გეგმას ეხმაურება", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/556972, განახლებულია: 20.09.2023.

[29] იქვე.

[30] „საქართველოს პრეზიდენტი იწყებს შეხვედრებს ევროპელ ლიდერებთან, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად", საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 30 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=209&news_id=1952&lng=geo, განახლებულია: 20.09.2023.

[31] იქვე.

[32] „მთავრობის ადმინისტრაციის განცხადება", საქართველოს მთავრობის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2023 წლის 30 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/blCD4, განახლებულია: 20.09.2023.

[33] 22-24 აგვისტოს - უკრაინაში, 16 სექტემბერს - შვეიცარიის კონფედერაციაში, 2-3 ოქტომბერს - პოლონეთის რესპუბლიკაში, 4-6 ოქტომბერს - ბელგიის სამეფოში, 31 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით - დანიის სამეფოში, 1-2 დეკემბერს - არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, 27-29 სექტემბერს - ბულგარეთის რესპუბლიკაში, 10-12 დეკემბერს - ჩეხეთის რესპუბლიკაში და 18-20 დეკემბერს - ისრაელის სახელმწიფოში.

[34] იქვე.

[35] „საქართველოს პრეზიდენტი გერმანიის პრეზიდენტს შეხვდა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32572641.html, განახლებულია: 20.09.2023.

[36] სალომე ზურაბიშვილის ოფიციალური Twitter-ის გვერდი, 2023 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/Zourabichvili_S/status/1697513856824684695/photo/1, განახლებულია: 20.09.2023.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა პრეზიდენტი კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულეს. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია, რომ პრეზიდენტი მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემთხვევაშია უფლებამოსილი, ჩაერთოს წარმომადგენლობით ურთიერთობებში საგარეო პოლიტიკაში და აწარმოოს საერთაშორისო მოლაპარაკებები.[37] კობახიძის შეფასებით, იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტს ფიცი აქვს დადებული ამ კონსტიტუციაზე, ის მას უხეშად არღვევს, რაც მმართველი პარტიის მხრიდან რეაგირების გარეშე ვერ დარჩება.[38]

[37] საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2023 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ckGHV, განახლებულია: 20.09.2023.
[38] იქვე.